ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01202383278**
თარიღი: **25/08/2020**
პინი: **3053**

ადრესატი: შპს ვაკე პლაზა
საიდენტიფიკაციო ნომერი: 404869488
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზ., N72ა

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/01193472007-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. N72ა (საკ. კოდი N01.14.11.001.003) 2019 წლის 15 მარტის N4409567 (AR1666597) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

პროექტში სრულად არ არის აღნიშნული განსხვავებული დაფერვით მონოლითური კედლები, არსებული აგურის კედლები და შემავსებელი ბლოკის კედლები. ნაწილობრივ შეცვლილია შენობის ავტოფარეხში კონტურზე მდებარე კედლების განივი კვეთი, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია მიწის ზედა სართულებზე ფასადის კედლების კვეთი. ნაწილობრივ გაზრდილია კოლონების კვეთი, მათ ნაწილზე ფიქსირდება ლითონით მოჩარჩოება. კოლონების ურთიერთმდებარეობა ნაწილობრივ არ შეესაბამება პროექტში ასახულს. დამატებით მოწყობილია რიგელები, ხოლო საპროექტო რიგელების ნაწილის კვეთი და ადგილმდებარეობა შეცვლილია. საპროექტო დიაფრაგმების კვეთი ნაწილობრივ გაზრდილია, ხოლო მათი ნაწილის ურთიერთმდებარეობა კოლონების მიმართ შეცვლილია. შენობის +0.00 ნიშნულზე და მის ზევით ნაწილობრივ კოლონებისა და შენობის პერიმეტრზე ფასადის კედლების ურთიერთმდებარეობა შეცვლილია. ასევე +15.20 ნიშნულზე და მის ზევით „2-1" მონაკვეთში და ასევე „1" ღერძის გარეთ მდებარე ლითონის სვეტების და ფასადის კედლების ურთიერთმდებარეობა არ შეესაბამება პროექტში ასახულს. კიბის უჯრედში ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა, ასევე ნაწილობრივ შეცვლილია კიბის მარშების სიგანე. ასევე შეცვლილია „D-E" მონაკვეთში ლიფტის შახტის გაბარიტი. +8.60 ნიშნულზე და მის ზევით „2-1" და „F-G" მონაკვეთში ფასადის კედელზე საპროექტო ღიობში დამატებით მოწყობილია კარი, რომელიც უკავშირდება გარე ლითონის კიბეს. +15.20 ნიშნულზე და მის ზევით „1" ღერძზე და მის გარეთ მდებარე ლითონის სვეტების კვეთი გაზრდილია, ფიქსირდება ორტესებრი ფორმის სვეტები, ნაცვლად მართკუთხა ფორმისა, ხოლო „2-1" მონაკვეთში ლითონის კოჭების კვეთი შემცირებულია. +15.20 ნიშნულიდან +31.70 ნიშნულის ჩათვლით „1-2" და „F-G" მონაკვეთში კიბის უჯრედის გარშემო, შენობის შიდა სივრცეში მოწყობილი ორტესებრი სვეტების ნაცვლად მოწყობილია მართკუთხა ფორმის სვეტები. „5-4" და „B-C" მონაკვეთში +8.60 ნიშნულიდან +28.40 ნიშნულის ჩათვლით მდებარე საპროექტო დიაფრაგმების ადგილმდებარეობა ნაწილობრივ შეცვლილია, ხოლო +31.70 ნიშნულზე დამატებულია მონოლითური დიაფრაგმები და კოლონა.

შენობის და საკადასტრო საზღვრის წითელი ხაზების ურთიერთმდებარეობა ნაწილობრივ არ შეესაბამება პროექტში ასახულს.

ავტოფარეხის სართულები: „2-1" და „F-G" მონაკვეთში შეცვლილია კოლონების რაოდენობა, კვეთი და ადგილმდებარეობა. საპროექტო წყალმიმღები არხების ნაწილი არ ფიქსირდება, ასევე არ არის მოწყობილი კვამლსატარი შახტების ნაწილი. სამანქანო პანდუსების კიდეებზე დაბალი კედლების ნაწილი გაუქმებულია. „7" და „A" ღერძების კვეთაზე, ასევე „7" და „R" ღერძების კვეთზე დამატებულია კოლონები. ავტოფარეხის სართულებზე „B-C" და „7-3" მონაკვეთში შეცვლილია ფილის ღიობის ფორმა, შეცვლილია მონოლითური კედლების ფორმები. „A" და „R" ღერძებზე მდებარე კედლების მოწყობა არ შეესაბამება პროექტში ასახულს, ასევე დამატებულია ლითონის სვეტები, კედლების ნაწილი გაუქმებულია, ხოლო გარკვეულ ნაწილზე დამატებულია. სართულშუა გადახურვისთვის გამოყენებული ანაკრები ფილების განლაგების მიმართულება შეცვლილია.

„1-1" ჭრილი: გეგმისა და ჭრილის ნახაზებზე +11.90 და +35.00 ნიშნულებზე დატანილი ნიშნულები არ შეესაბამება ერთმანეთს.

„2-2" ჭრილი: +0.00 ნიშნულზე გაზრდილია სართულის სიმაღლე. ამავე ნიშნულზე ანაკრები ფილაზე ბეტონით მოსვეწის სისქე გაზრდილია.

-13.07 ნიშნული: „A" ღერძზე „7-5" მონაკვეთშ ღიობის გაბარიტი შემცირებულია. „5" და „D" ღერძების კვეთაზე გაუქმებულია მონოლითური კედელი. „3" ღერძზე „H-I" მონაკვთში დამატებულია დაბალი მონოლითური კედელი. „3-2" და „H-I" მონაკვეთში დამატებულია საკომუნიკაციო ჭები. „P-R" მონაკვეთში სამანქანო პანდუსის ქვევით დამატებულია ლითონის სვეტი და მონოლითური კოლონა. „P" ღერძზე მდებარე მონოლითური კედლის სიგრძე გაზრდილია „5" ღერძის გარეთ, ხოლო „4" ღერძის გარეთ შემცირებულია. აღნიშნულ კედელზე დამატებულია ღიობები.

-9.91 ნიშნული: „A“ ღერძის გარეთ „3-1“ მონაკვეთში დამატებულია ბეტონისა და ლითონის კონსტრუქციის ნაგებობა, რომელსაც გარშემო ერტყმის მონოლითური კედელი. ამავე მონაკვეთში „H“ ღერძის მარჯვნივ სართულის გადახურვის ფილის ძირზე ფიქსირდება ლითონის კოჭები, ხოლო ანაკრები ფილის ნაცვლად, მოწყობილია მონოლითური ფილა.

-6.85 ნიშნული: „1“ ღერძის გარეთ „დამხმარე ფართობის“ სიგანე შემცირებულია, კოლონების რაოდენობა გაზრდილია, შეცვლილია მათი კვეთი, ხოლო გადახურვის ფილის ძირზე ფიქსირდება ლითონის კოჭები.

-3.69 ნიშნული: „A-C“ და „6-3“ მონაკვეთში კედლების მოწყობა არ შეესაბამება პროექტში ასახულს, კერძოდ ფიქსირდება მონოლითური და შემავსებელი ბლოკის კედლები მათზე ღიობებით, ხოლო საპროექტო კედლების ნაწილი გაუქმებულია. „D“ ღერძზე „5-4“ მონაკვეთში დიაფრაგმაზე დამატებულია ღიობი. „F-G“ მონაკვეთში „2“ ღერძზე მოწყობილია კაპიტალური კედელი ღიობებით.

+0.00 ნიშნული: „B-C“ მონაკვეთში „5“ ღერძის გარეთ „სუფთა ჰაერის მიმღები შახტის“ და მისი კედლების ფორმა შეცვლილია, ხოლო მის მარჯვნივ „საქვაბე / დამხმარე ფართობის“ გაბარიტი შემცირებულია, კერძოდ გარეთ გამავალი კედლები გაუქმებულია და მოწყობილია ლითონის ცხაურები, რომლებიც უსწორდება ფასადის კედელს. „G“ ღერძზე „5-4“ მონაკვეთში მდებარე კარის ღიობის გაბარიტი გაზრდილია. „2-1“ და „F-G“ მონაკვეთში გარეთ მდგომი ლითონის კიბის მარშს მონაცვლებული აქვს ადგილი და გასწორებულია ფასადის სიბრტყეზე. ნაწილობრივ შეცვლილია ტერიტორიის კეთილმოწყობა, ტერიტორიაზე გამწვანებისთვის განკუთვნილი ნაწილის გარშემო დამატებით მოწყობილია დაბალი ბორდიურები, ხოლო საპროექტო გამწვანებების ფორმები და ფართი ნაწილობრივ შეცვლილია. „H“ ღერძის მარცხნივ მდებარე კარის გაბარიტი გაზრდილია. „H-I“ მონაკვეთში მდებარე კიბის უჯრედში დამატებულია ლითონის სვეტი. „4“ ღერძის გარეთ „H-R“ მონაკვეთში განთავსებულია სხვა და სხვა აგრეგატები._„H-R“ მონაკვეთში კოლონების ძირის ფორმები შეცვლილია.

+21.80 ნიშნული: „B“ ღერძზე კოლონების და რიგელის ურთიერთმდებარეობა არ შეესაბამება პროექტში ასახულს.

+31.70 ნიშნული: „1“ ღერძის გარეთ შეცვლილია ტერასის გაბარიტი. სართულის იატაკისა და ტერასის იატაკის ნიშნულები არ უსწორდება ერთმანეთს.

+35.00 ნიშნული: „2“ ღერძის გასწვრის მდებარე კედელს ვიტრაჟებით მონაცვლებული აქვს ადგილი, გაზრდილია შიდა ფართი, შესაბამისად ტერასა მონაცვლებულია „1“ ღერძისკენ. გეგმის ნახაზებზე არ არის დატანილი ადგილზე მოწყობილი ლითონის მოაჯირი. „4“ ღერძზე ლითონის სვეტების ნაწილი გაუქმებულია.

ჭრილი 1-1: +35.00 ნიშნულზე არ არის ასახული ჰორიზონტალურად განთავსებული ლითონის კოჭები. +31.70 ნიშნულის ზევით „4-1“ მონაკვეთში გადახურვის დახრა შეცვლილია, გაზრგილია „2“ და „1“ ღერძების გასწვრივკედლების და შესაბამისად გადახურვის სიმაღლე. +0.00 ნიშნულის გასწვრივ „2-1“ მონაკვეთში ფილის ძირზე ფიქსირდება რიგელები.

ჭრილი 2-2: „I-J“ ღერძებს შორის არ არის აღნიშნული კონსტრუქციული წყვეტა. „P-R“ მონაკვეთში „სამაყურებლო დარბაზის“ იატაკის ფილის ფორმა შეცვლილია, კერძოდ გაუქმებულია საფეხუროვანი ფორმები, შეცვლილია ასევე აღნიშნული ფილის დახრა. აღნიშნული სივრცის სიმაღლე გაზრდილია, ხოლო გადახურვის ფილის ძირზე ფიქსირდება რიგელები. „H-Q“ მონაკვეთში შენობის სახურავზე შემცირებულია პარაპეტის სიმაღლე. რიგელებია დამატებული ასევე „O“ ღერის გასწვრივ +0.00 ნიშნულის ზევით.

ფასადები: შეცვლილია ღიობების რაოდენობა, ასევე ნაწილობრივ მათი ადგილმდებარეობა.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება“.

პატივისცემით,

ლევან ჯღარკავა

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მუნიციპალური ინსპექციის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი